რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ც.დადიანის N28

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულებაში; Secondary Vocational Qualification in Concrete Work

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

მოცულობა და ხანგძლივობა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 89 კრედიტის მოცულობით. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) სწავლების ფორმით.

პროგრამის ხანგძლივობა - 2 წელი;

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დაიცვას რკინაბეტონის სამუშაოების წარმოების წესები და უსაფრთხოების პრინციპები;
- წაიკითხოს რკინაბეტონის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია;
- განახორციელოს საყალიბე სისტემების მონტაჟი და დემონტაჟი (განყალიბება);
- განახორციელოს რკინაბეტონის კონსტრუქციების არმირება;
- განახორციელოს ბეტონის ნარევის ჩაწყობა და მოვლა;
- მოაწყოს ბეტონის იატაკი;
- ზედამხედველობა გაუწიოს რკინაბეტონის სამუშაოების შემსრულებელთა მუშათა რგოლს

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:
კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და დააკმაყოფილოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები

პროგრამის დასრულების შედეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი დიპლომი დანართით.

პროგრამის მოდულები :

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
მეწარმეობა	4		შერეული
უცხოური ენა(ინგლისური)	3		დისტანციური
რაოდენობრივი წიგნიერება	2		დისტანციური
რკინაბეტონის სამუშაოების წარმოების წესები და უსაფრთხოების პრინციპები	10		შერეული
რკინაბეტონის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია	9		შერეული
საყალიბე სისტემების მონტაჟი და დემონტაჟი (განყალიბება)	14	✓	-
რკინაბეტონის კონსტრუქციების არმირება	14	✓	-
ბეტონის ნარევის ჩაწყობა და მოვლა	14	✓	-
ბეტონის იატაკების მოწყობა	11	✓	-
რკინაბეტონის სამუშაოების შემსრულებელთა მუშათა რგოლის (მცირე სამუშაო ჯგუფი) ზედამხედველობა	8	✓	შერეული
სულ კრედიტები		89	